სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/39

ქ. თბილისი 12 აპრილი 2023 წ.

სტუ-ის სოციალური კვლევის ცენტრის სახელის ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის სოციალური კვლევის ცენტრის უფროსის ზურაბ ჯიბლაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილი N 01-05-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური კვლევის ცენტრს და ეწოდოს ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტული მომსახურების და სამეცნიერო პერიოდიკის ცენტრი'';
2. მოწონებული იქნეს ცენტრის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტული მომსახურების და სამეცნიერო პერიოდიკის ცენტრის დებულებაში (დანართი 1);

3. მოწონებული იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტული მომსახურების და სამეცნიერო პერიოდიკის ცენტრის საშტატო განრიგი 2023 წლისათვის (დანართი 2) და გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთ ბიუჯეტის პროექტში;

3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**